საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030152537566919

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/995 **22 / იანვარი / 2019 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2018 წელს კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ცენტრალური აპარატისათვის და შრომის პირობების ინსპექტორებისათვის შესყიდული იქნა კომპიუტერები, რომელთა მოწოდებაც განხორციელდა მიმდინარე წელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა“ (პროგრამული კოდი - 27 01 01) პროგრამის ფარგლებში, ცენტრალური აპარატისთვის შეძენილი კომპიუტერების ხარჯების დასაფინანსებლად (17 ერთეული) და ტუმბოს (1 ერთეული) შესაძენად, საჭიროა გაიზარდოს პროგრამის პირველი კვარტლის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნება ამავე მუხლის მეორე და მესამე კვარტლების ასიგნებების შემცირების ხარჯზე და კვარტლების დაბალანსების მიზნით გამოყენებულ იქნეს „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება“ (პროგრამული კოდი - 27 03 04) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებები.

ხოლო, „შრომის პირობების ინსპექტირება“ (პროგრამული კოდი: 27 05 02) პროგრამის ფარგლებში, შრომის პირობების ინსპექტორებისთვის (13 ერთეული) შესყიდული კომპიუტერების ხარჯების დასაფინანსებლად, საჭიროა განხორციელდეს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილება და მიმდინარე კვარტალში „საქონელი და მომსახურება“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნება.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად გიორგი წოწკოლაური